წელიწადი პირველი — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 19 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 172

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ელირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## 1916 წ. „საქართველო" 1916 წ.

მიიღება ხელის მოწერა

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:**

1) სალიტერატურო კრებული „მერანი" გამოვა სამ თვეში ერთხელ, ყოველ კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს" ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი" წიგნაკები, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზე.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

ცალკე მყიდველთათვის თვითეული კრებული ელირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო".

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და სალამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

---

Открыта подписка на 1916 г.
(Годъ изданія восьмой)
На ежедневную общественно-политич. газету
**„ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ"**
Подписная цѣна на годъ гор. 8 р. ½ г. 5 р. 3 м. 2-75. 1 м. 1 р.
,, ,, ,, Иног. 10 р. ,, 6 р. ,, 3 р. ,, 1 р.
Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.
Плата за объявленія впереди текста 15 коп., позади—10 к., зрѣлищъ впереди текста—20 к., Траурныя объявленія—5 р., послѣ 3-хъ час. въ типографіи «Сорапань» [Мадатовскій остр.) на 1 р. дороже. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 24 к., позади—12 к.
**АДРЕСЪ**: Тифлисъ, Дворцовая, 6.
Редакторъ Кн. К. П. Тумановъ.
Издатель Э. Д. Горделадзе.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის გაზეთ
**თანამედროვე აზრზე**
გაზეთი ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., 3 თვით 2 მ. 50 კ., 1 თვით 90 კ.
გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიად არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.
თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება"-ში ოლგას ქუჩა, № 6.

ექიმი-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ სალამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სალ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

პირველი წელი — პირველი წელი
„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა
**კაზმული და სამხატვრო კრებული**
**„მერანი"**
კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ელირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.

სასტუმრო „ავრორა"
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—14—3)

„წნორის წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
ს ს ტ უ მ რ ო „ჯ უ ღ ა ა ნ ი"
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ———— ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—16 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

დაიწყო ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
**„მეგობარზე"**
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ პრემიათ
**გ. მაიაშვილის წერილების კრებული**
ნახევარი წლის ხელის მომწერნი პრემიას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდიან 1 მან. და 50 კაპ.
პირველი იანვრიდან წლის ბოლომდი გაზეთი ელირება 9 მან., თვეში 90 კ., ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.
**წლიურ ხელის მომწერლებს** შეუძლიანთ სამ ნაწილად გაჰყონ ფულის შემოტანა: 1 იანვარს—3 მ. 50 კ., 1 აპრილს—3 მ., 1 აგვისტოს—2 მან. 50 კაპ., **ნახევარი წლის ხელის მომწერლებს** შეუძლიათ ორ ნაწილად—1 იანვარს 3 მ., 1 აპრილს 2 მ., გაზეთის გამოწ. შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.
**რედაქციის მისამართი:** Кутаисъ, Ивановская, редакція газ. „МЕГОБАРИ" ფოსტის ყუთი № 26. გაზეთის დასაკვეთი ფული და სხვა ანგარიშები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ Редакція газ. „МЕГОБАРИ" Титу Махаробеловичу Сихарулидзе.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო
**„პეტროგრად"-ში**
კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок"-ის რედაქციის პირდაპირ
მზადდება ყოველნაირი
**ევროპიული და ქართული საჭმელები**
ძრიელ ხელმისაწვდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.
შეიძლება ვახშმის შეკვეთა.
პატივისცემით ს. ქახეთელიძე და გ. არჩვაძე.
25—25

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა
**კიკნა-ფშაველის**
პოემებისა და რჩეულ ლექსების კრებული, რომელსაც წინ დაერთვის ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია-წინასიტყვაობა ღ დ. კასრაძის კრიტიკული წერილი.
წიგნი ელირება ათ შაურად
ხელის მოწერა შეიძლება „თეატრის და ცხოვრების" რედაქციაში და მიხ. ხერხეულიძესთან: თბილისი, პარკოვსკის ქ. № 27.
(4—0—2)

სახალხო სახლი (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)
ორშაბათს 21 ქრისტეშობისთვეს 1915 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
**დღენი ჩვენი ცხოვრებისა**
დრ. 4 მოქ. ლ. ანდრეევისა. თარგმ. ალ. იმედაშვილისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო., იმედაშვილი ალ., იმნაძე/იშხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟივიძე იოსებ, სარაული კ., მ. ქიაურელი.
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. — დასაწყისი სალამოს 8 ს.
რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრ. ქართული დრამატიული საზოგადოება.
მორიგი წევრი გამგეობისა ი. გედევანიშვილი.
შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 30 ქრისტეშობისვეს მზადდება.
(2—19—1)

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. სალამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან** და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე სალამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
**მამულაიშვილმა**
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში
**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

**სტუდენტი-ფილოლოგი**
პეტროგრადის უნივერსიტეტისა
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. სპეციალად რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ლათინური ენა და მათემატიკა.
**საჩქარო მომზადება პრაპორშჩიკების სკოლისათვის.**
პირობის გაგება შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.

კვირას, 20 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია
**ქართულ სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება**
**განსახილველი საგნები:** 1. საგურამოს ილიასეულ მამულის იჯარით აღების შესახებ. 2. არჩევნები საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა. (2—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

18 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ფრონტი. გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი შეეცადა რუსების თხრილებს მოახლოვებოდა ბაუსის შარაგზით, მაგრამ უკუქცეულ იქნა რუსების ცეცხლით. რიგის ფრონტზე სროლაა, განსაკუთრებით იქსკიულის სიმაგრეების გასწვრივ. ბევრს ადგილას რუსის არტილერია მარჯვედ მოქმედებს. დანარჩენს ფრონტზე მდ. პრიპიატამდე ჩვეულებრივი თოფისა და საარტილერიო სროლაა. პრიპიატის სამხრეთ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

**კავკასიის ფრონტი.** შავი ზღვის ნაპირებზე აჰ-დაღმა მთის სამხრეთ-დასავლეთით, თორთუმ-ღელეს ტბის რაიონში რუსის არტილერიამ შეაჩერა ოსმალთა მუშების მუშაობა.

---

**საფრანგეთი.**

**პარიჟი,** 16 ქრისტეშობისთვე. ბელგიაში და არტუაში დღისით არტილერიამ ორთივე მხრით ძლიერი მოქმედება გამოიჩინა. მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენ დავანგრიეთ მტრის ტყვიის-მფრქვეველთა სიმაგრეები და ვილობუას მიდამოებში გავფანტეთ მათი მუშები. არგონებში ავაფეთქეთ ორი ნაღმი, ფილმორტის ჩრდილოეთით, „285“ მწვერვალებზე, ამასთანავე მოვსპეთ გერმანელთა პატარა ხიდი. მაასის მარჯვენა ნაპირებზე, როგორც მფრინავნი გადმოგვცემენ, ჩვენმა არტილერიამ საგრძნობი ზარალი მიაყენა მტერს. ვოგეზებში სასტიკი საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით მძაფრს წერტილს აღწია ჰარტამდე ვეილერკოფის რაიონში. მიუხედავად მტრის კონტრ-იერიშებისა ჩვენ შევინარჩუნეთ წართმეული მათი თხრილები. საზოგადოდ ამ რაიონში სამასამდე ტყვე წამოვიყვანეთ. მთელი ოპერაციის დაწყებიდან დღემდე სულ 1,668 კაცი დაგვიტყვევებია. როგორც ტყვეები აღიარებენ 8 ქრისტეშობისთვეს ჩვენი იერიშების დროს მტერს დიდი ზარალი მოსვლია.

**მთაშავეთი.**

**ცეტინიე,** 16 ქრისტეშობ. 14 ქრისტესშობისთვეს ავსტრიელებმა უშედეგოდ დაიწყეს მკაცრი საარტილერიო სროლა მდ. ტირაზე, შემდეგ იერიშით წამოვიდნენ ლიუბოვიის ფრონტზე, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაგდეთ. რასკოვის მთის წინააღმდეგ მტერმა უკანასკნელი ორი-ათასჯერ ისროლა მსხვილი კალიბრის ზარბაზნიდან, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორი დაგვეჭრა მსუბუქად. საზოგადოდ მტერს დიდი ზარალი მოსდის. დღემდე ორი-ათასზე მეტი დაეკარგა.

14 ქრისტ. ავსტრიელმა ჰაეროპლანმა პოდგორიცაში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, რომლითაც მოკლული იქმნა 2 ავსტრიელი ტყვე.

**იტალია.**

**რომი.** 17 ქრისტ. 16 ქრისტეშობისთვეს ჯულიკარის ღელეში ჩვენი არტილერია უშენდა პოროს სიმაგრეს, ამასთანავე თვით სოფელ პოროსაც დაუწყო სროლა, სადაც, როგორც ცნობები მოგვივიდა, ჯარების მოძრაობა იყო. მტერი გაიფანტა. ჩვენმა პატარ-პატარა რაზმების მოქმედებამ შეგვაძლებინა ცოტა წინ წავეწია ადიჯეში. გორიცას დასავლეთით და გარსოზე მტერი ამაოდ ცდილობდა სროლით ხელი შეეშალნა მუშებისთვის, რომლებიც ჩვენი თავდაც ვისთვის ციხეს აგებდნენ.

**ვილჰელმის ავადმყოფობა.**

**კოპენჰაგენი,** 15 ქრისტ. შვეიცარიიდან მოსული ცნობების თანახმად ვილჰელმი ავადაა ყელის ანთებით, მას ოპერაცია დასჭირდებაო. ავადმყოფობა ერთ თვეზე მეტს გასტანს.

**ლონდონი,** 16 ქრისტეშობისთვე. 15 ქრისტეშობისთვეს მტრის 4 ჰაეროპლანმა იერიში მოიტანა ჩვენს ჰაეროდორმზე, მაგრამ მხოლოდ ორმა მიაღწია უვნებლად მიზანს. ერთი ჩვენი ჰაეროპლანთაგანი მტერმა ჩაიგდო. ღამით არმანტიერის მახლობლად, ჩვენები შეცვივდნენ მტრის თხრილებში და ხელის სასროლი ყუმბარებით საგრძნობი ზარალი მიაყენეს მათ. მტერმა ორი ნაღმი ააფეთქა უივანში, მაგრამ არავითარი ზიანი არ მოუყენებია ჩვენთვის. ლა-ბასეს არხის სამხრეთით მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. იპრის მახლობლად საარტილერიო სროლაა.

**სტოკჰოლმი,** 17 ქრისტეშობ. როგორც გაზეთები იუწყებიან ქრისტიანსტადიდან, გუშინ ჰელსინბორგთან სამხრეთისკენ სწრაფად გაუვლია გერმანელთა ესკადრას, რომელიც ორი სუბუქი კრეისერისაგან შესდგებოდა.

**ათინა,** 16 ქრისტეშობ. როგორც კორფუდან იტყობინებიან, სერბეთის მეფე ელბასანიდან ტირანში მისულა, სადაც დარჩება საცხოვრებლად. 80 ათასი სერბიელიდან გენერალი 54 ათასი კაცით მოსულა ბალკანეთის ნაპირებთან.

**პარიჟი,** 17 ქრისტეშობისთვე. დახურულ კონგრესზე სოციალისტებმა რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანელებმა ტლანქი თავდასხმით არივ დარიეს სხვა და სხვა ერები და ყოველთვის ომის მომხრენი იქნებიან, ვიდრე ტერიტორია არ გაიწმინდება მტრისაგან და მტკიცე ზავი არ ჩამოვარდება ბელგეთისა და სერბეთის აღდგენის შემდეგ, ამასთანავე საფრანგეთს უნდა დაუბრუნდეს ელზას-ლორენი, რომელიც 1871 წელს გერმანეთმა დაიპყროო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი**

**რიგის მიდამოებში.**

ამ უკანასკნელ დღეებში რიგას ახლო-მახლო მიდამოებიდან რიგაში ძლიერი სროლის ხმა ისმის.

იკსკიუისა და კაუსის მიდამოებში 10 ქრისტეშობისთვეს ზარბაზნის სროლა ქალაქს აზანზარებდა. რუსების ზარბაზნებიც მარჯვედ უშენდნენ გერმანელების სანგრებს. 9 ქრისტეშობისთვეს რიგას დირიჟაბლები დასტრიალებდა. ერთი დირიჟაბლი თითქოს დაზიანდა კიდეც. იგი გერმანელების ბანაკში დაეშვა.

**ახალი ჯარი რიგასთან.**

რიგას მიდამოებში გერმანელების ახალი მოლაშქრენი მოიყვანეს და მუდამ დღე გერმანელების ბანაკში ავარჯიშებენ.

**გერმანელები რიგას მიდამოებში მაგრდებიან.**

„რეჩ“-ის ცნობებით, საშინელ ყინვების მიუხედავათ, გერმანელები სწრაფად ამაგრებენ რიგას მიდამოებს. დიდძალ ხალხს ამუშავებენ, ისე რომ რუსები მათ ზარბაზნებს უშენენ ხოლმე გასაფანტად.

**ბალკანეთში.**

**ბულგარელები დასტურს ელიან.**

ბულგარეთის მთავარ სამხედრო შტაბის უფროსს უთქვამს: საბერძნეთის საზღვრებთან მდგომი ჩვენი ჯარი საბერძნეთის მთავრობის დასტურს ელის, რომ საბერძნეთის საზღვრები გადალახოს. ეს დასტური დიპლომატიურ მოლაპარაკების შედეგი იქნება.

---

ავსტრიელები და გერმანელები თუმცა მზად არიან, მაგრამ არ აპირებენ საბერძნეთის საზღვრების გადალახვას ვიდრე საბერძნეთის მთავრობისაგან ნებართვას არ მიიღებენ. უკეთუ საბერძნეთის მთავრობამ ასეთი დასტური არ მისცა, მაშინ ბულგარეთის ჯარი გერმანულად გამოწყობილი გადალახავს საბერძნეთის საზღვრებს და მოკავშირეებს დაედევნებიან.

**სალონიკის გარშემო.**

მოკავშირეების ჯარი ეხლა დაბანაკებულია სალონიკიდან 50—55 ვერსზე გევგელის უკან. მათი მოსაგერიებელი ხაზი სალონიკიდან 30 ვერსზეა გაჭიმული. მოკავშირეები შეეცდებიან ეს ხაზი შეინარჩუნონ, ხოლო თუ ბულგარლები მედგრად შეუტევენ, მაშინ მხოლოდ სალონიკის შენარჩუნებას ეცდებიან, განსაკუთრებით სალონიკის ნავთ სადგურისას. სალონიკის მიდამოები მთა-გორიანია, აქვეა ენიჯეს ტბაა და საომარ მოქმედებას ძლიერად შეაფერხებს.

**მოკავშირეთა ჯარის რაოდენობა.**

სალონიკის მიდამოებში, როგორც ირწმუნებიან, 100—180 ათასი ჯარისკაცი ჰყოლიათ მოკავშირეებს.

**საბერძნეთის ხრიკები.**

საბერძნეთის მთავრობა სალონიკში მოკავშირეთა ჯარის გადაყვანას ყოველგვარის დიპლომატიური ხრიკებით ხელს უშლიდა ისე რომ მოკავშირეებმა ვერ მოახერხეს თავისი ჯარის ზურგის გამაგრება, რომ მაკედონიაზე გაელაშქრათ.

**იტალიელები ალბანეთში.**

ალბანეთის სანაპიროებზე იტალიელებმა ჯარი გადასხეს. მათ მეტად გრძელი და ძნელი მთაგორიანი გზა აქვთ გასავლელი 384 ვერსამდე. იტალიელების ჯარმა შეიძლება არსებითად ვერაფერი გააწყოს, მაგრამ იმას მაინც მოახერხებს რომ აქ ბულგარელთა ჯარის ნაწილს დააბანდებსო, სწერს შუმსკი.

**წყალქვეშას დაღუპვა.**

ესპანურ გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა: გერმანელების წყალქვეშა ჰიბრალტარში ინგლისელებმა დაჰღუპესო.

**გენერალ მონროს გადადგომა.**

ინგლისის მთავრობამ ფელდმარშალ ფრენჩს მთავარსარდლობა ჩამოართვა და გენერალ დუგლას-ჰეგეს გადასცა. ახლა რიგი მიდგა გენერალ მონროზე, რომელიც დარდანელის ჯარებს ხელმძღვანელობდა. მისი დათხოვნის მიზეზიც ისევე გამოურკვეველია, როგორიც ფრენჩისა. უფრო მახლობელ მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ გენერალ მონრომ მიჰმართა რაპორტით მთავრობას, დარდანელისთვის თავი დაენებებინათ, ოპერაციაზე ხელი აეღოთ. ამაზე არ შეეთანხმნენ სხვა გენერლები, აზრთა შეჯახებამ აიძულა მონრო თავი გაენებებინა სამსახურისთვის, რადგანაც მისი აზრით დარდანელის ოპერაცია სრულიად უნაყოფო და საზარალო იყო ინგლისისათვისაო.

**სპარსეთში.**

**ყუმის კომიტეტი.**

„ბ. ვ“.-ის ცნობით, რუსის ჯარი ყუმში რომ შევიდა, მერე ფეხდაფეხ დაედევნა მტერს. ყუმის კომიტეტი ქაშანს გაეშურა. კომიტეტში მხოლოდ 14 კაცი დარჩა: სოლიმან მირზა, სოლიმან ხანი, მაჰმედ-ალი-მულიკი და სხვანი. დანარჩენი 9 დეპუტატი თეირანში აღარ დაბრუნებულა.

**ფერმან-ფერმა.**

შაჰმა პრინცი ფერმან-ფერმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. ფერმან-ფერმა რუსეთ-ინგლისის მომხრეა.

**ბრძანება ჟანდარმებს.**

ფერმან-ფერმამ პოლკოვნიკი ედვალი საგანგებოდ გაჰგზავნა შახ-აბდულაზიმში, სადაც ჟანდარმები იმყოფებიან, რომელთაც ბრძოლაში ჯერ მონაწილეობა არ მიუღიათ. ედვალს დავალებული აქვს, იარაღი აჰყაროს ჟანდარმებს და ბრძოლის ასპარეზს გაარიდოს სადმე.

**ზღვაზე.**

კოპენჰაგენიდან ცნობაა: გერმანელების სამხედრო გემები დანიის სრუტეებში ფიცხელად მოქმედებენ. ბოლო დროს გერმანელების კრეისერები მიმოდიან ზუნდს და პატარა ბელტში. აქედან მიმოსვლა აქვთ ღამ-ღამობით ალზენის კუნძულთან. ამავე დროს გერმანელების ნაღმოსნები უთვალთვალებენ სავაჭრო გემებს და სჩხრეკენ სავაჭრო გემებს კატტეგატში.

**ვარნაში.**

გერმანელებმა მდ. დუნაის გზით ვარნაში ჩაიტანეს ხუთი წყალქვეშა ნავი. ვარნაში ეხლა 30 ათასი ბულგარელი მეომარია. ესენი სერბეთის ასპარეზიდან გადმოუყვანიათ. დუნაის დასწვრივ დობრუჯამდე 12 წყებად არის გამართული სანგრები ერთი მეორიდან 1200 ნაბიჯით დაშორებული.

## უკანასკნელი ფოსტა

**სპარსეთის ახალი სამინისტრო.**

სპარსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ახალი კაბინეთი შეადგინა: ფერმან-ფერმა—საბჭოს თავმჯდომარე, საფეხდარი—სამხედრო მინისტრი, ვისულ-დოულე—ფინანსებისა, ალაეს-სალთანე—იუსტიციისა, მოზეფერ ამელიქ—გარეშე საქმეთა, შეჰაბდულ—ფოსტისა, სარდირ მანსური—სახალხო განათლებისა. ყველანი მოკავშირეთა მომხრეებია.

**ფერმან-ფერმას მოკვლას უპირებდნენ.**

„ვ. ვ.“ სიტყვით, ყუმის კომიტეტს განუზრახავს ახალ მინისტრ-პრეზიდენტის ფერმან-ფერმას მოკვლა. მათ ხელმძღვანელობას უწევს თეირანში მყოფი გერმანეთის დესპანი. შეთქმულობა გამჟღავნებულა.

**დვინსკის მიდამოებში.**

გერმანელები, თურმე, დიდ მნიშვნელობას აძლევენ ილუქსტს. აქ მოსალოდნელია მედგარი შემოტევა.

**ვილნო-დვინსკის მიდამოებში.**

„რუს. ინვ.“-ის სიტყვით, ვილნო-დვინსკის მიდამოებში, ნოვოალექსანდროვსკთან გერმანელებს ზედიზედ მედგარი იერიშები მიუტანიათ რუსის ჯარის გასარღვევად. რუსებს მოუგერებიათ.

**ბარანოვიჩთან.**

„რ. ი.“-ი იტყობინება. ამ თვის განმავლობაში გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს ბარანოვიჩის სადგურის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერას გახდენ. ეს სადგური მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც რამდენიმე ლიანდაგს აერთებს. რადგანაც აქ რუსები ვერ დასძრეს, გერმანელები ბარანოვიჩის მიდამოებში სწრაფად აგებენ შემაერთებელ სადგურს, რომელსაც დაარქვეს ბარანოვიჩი-ქალაქი.

**სამხრეთ რუსეთის ასპარეზი.**

მცოდნეთა აზრით მეტად მნიშვნელოვანია ბრძოლა პრიპიატიდან დაწყებული რუმინეთის მიჯნებამდე. აქ უდიდესი ბრძოლა გაიმართებაო.

## ბრძოლის ველზე

უკანასკნელ დღეების ცნობათა სიღარიბისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტობის მიუხედავათ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანეთ-რუსეთის ფრონტზე ბრძოლის ახალი ხანა დაიწყო, სამი ოთხი კვირის სიწყნარის შემდეგ. დეპეშებს კანტი-კუნტად ამბები მოაქვთ, რომ რიგა-დვინსკის რაიონში სამხედრო მოქმედება გაცხოველდა, რომ ჩარტორისკის არემარეში სერიოზული ბრძოლაა და რომ გალიციაში ბრძოლის ხაზი თანდათან გრძელდება. ამ შეტაკებებს ისეთი მიდრეკილება აქვთ, რომ ადვილად შეიძლება საერთო იერიშის ხასიათი მიიღოს. რიგის ახლომახლო, როგორც სხვა და სხვა ცნობებიდან სჩანს, მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. ზარბაზნების მოქმედება განსაკუთრებულ სიმძაფრეს აღწევს იქსკიულის ხიდის თავის სიმაგრესთან. იაკობშტადტსა და ფრიდრიხშტადტს შორის გერმანელებს უჭირავთ დვინის მარცხენა ნაპირი და ალაგ-ალაგ ცდილობენ მდინარის მარჯვენა ნაპირას გადმოსვლას. ამ ადგილებიდან გერმანელები, როგორც სჩანს, მოსვენებას არ აძლევენ გაღმა დაბანაკებულ რუსის ჯარს. რიგა-დვინსკის რაიონს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა არ დაჰკარგვია, იგი საგანია ჰინდენბურგის დაუღალავი ყურადღებისა. ხოლო მეორეს მხრით, ამდენი ხნის უშედეგო ცდისა და ბრძოლის შემდეგ ჰინდენბურგისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ამ ორ ქალაქ-სიმაგრის აღება და მდინარე დვინის გადალახვა შეუძლებელი იყო იმ ჯარებისა და არტილერიის შემწეობით, რომელიც მას აქ იმ თავითვე ჰყავდა. გენერალი ჰინდენბურგი სათანადო ზომებს იღებს დიდი ხანია, ჯარები გადმოყავს სხვა ადგილებიდან და დიდძალი მძიმე ზარბაზანიც გადმოაქვს. რუსული გაზეთების ცნობა ამ მხრივ უტყუარ საბუთებს გვაძლევს. ამ ათიოდე დღის წინად, დეპეშებისა და გაზეთების ცნობით, გერმანელებს დვინსკის გამაგრებულ რაიონში ბლომად ჩამოუტანიათ მძიმე არტილერია. ამ ორი უკანასკნელი დღის ცნობებიდან ირკვევა, რომ აქ გერმანელებს მეტად ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გაუჩაღებიათ და დვინსკის მიმართულებით ზედი-ზედ რამდენიმე მძაფრი იერიში მიუტანიათ. ეს იერიშები ვილნო-დვინსკის რკინის გზის მხრიდან დაუწყიათ ნოვო-ალექსანდროვსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გერმანელებს აქ შეჰგებებია რუსის არტილერიის ძლიერი ცეცხლი და წინსვლა შეუჩერებიათ.

გუშინდელი დეპეშის ცნობით მდინარე პრიპეტის სამხრეთით დაწყებული ბრძოლა განუწყვეტლივ სწარმოებს. ნაჩვენები არ არის მიმდინარე ბრძოლის ადგილი, რომ შესაძლებელი იყოს წინადღეთა ბრძოლის შედეგის გამორკვევა.

კავკასიის ასპარეზის შესახებ შტაბის გუშინდელი დეპეშა ბრძოლის ამბავს სრულებით არ იძლევა. აღნიშნულია მხოლოდ, რომ რუსის არტილერიამ ოსმალებს ხელი აალებინა პოზიციის გამაგრებაზე, როგორც შავი ზღვის პირას, ისე ახადაგის მთის სამხრეთით და თორთუმ-გელის ტბის რაიონში.

საბერძნეთის ასპარეზის შესახებ ცნობები ნაკლებად მოდის. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: როგორც მოსალოდნელი იყო ბულგარებმა, საჭირო სამზადისის შემდეგ საბერძნეთის ტერიტორიის ნეიტრალობა არ დაიცვეს და ბრძოლა სალონიკის რაიონში გადაიტანეს. ეს ნათლად სჩანს საბერძნეთის [illegible]

**მეგრი.**

თბილისი, 19 ქრისტეშობისთვე.

## რუსული პრესა

„ნ. ვრ.“ მენშიკოვი სწერს საყურადღებო წერილს „ჰქა-გრგვინვის წინ“, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს: „...გერმანელები საოცარ ძალღონეს იჩენენ რათა დაპყრობილი რუსეთი დაიმკვიდრონ. ამიტომ გაჰყავთ რკინის გზები, დროებითი თუ მუდმივი, ასევე გაჰყავთ საურმე გზები, აუარებელი, რუსეთისთვის უცნობი სიმრავლით ჰქსელენ სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულებით. ყველა ეს იმისი მომასწავებელია, რომ დროებით ჩამოვარდნილი სიწყნარე რუსეთის ასპარეზზე გერმანელთათვის დაკარგული დრო არ ყოფილა, რომ პირიქით, გერმანეთი სცდილობს ამ გზით სწრაფად დაიპყროს და განიმტკიცოს ბატონობა, რომ ერთი ასად კულტურულად მოწყოს ყველაფერი...

ყოველისფრიდანა სჩანს, რომ გერმანელები დარწმუნებულნი არიან ამ დაპყრობის საბოლოო შენარჩუნებაში, რომ დაკარგულს ველარას გზით ვერ დავიბრუნებთ. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მაშინ ისინი ამოდენა კაპიტალს არ დანთქვიდნენ ნორმალ ცხოვრების აღსადგენად. ამიტომ ფრთხილად უნდა ვადევნოთ თვალ-ყური, რათა არ მოვსტყუვდეთ, ვილჰელმმა თვალები არ აგვიხვიოს და მოულოდნელად მთელი თავისი ძალ-ღონით თავს არ დაგვატყდეს და აღმოსავლეთის ლაშქრობა ჩვენი დედა ქალაქების აღებით არ დააგვირგვინოს. ეხლა მდინარეები და ჭაობები იყინება, გადასვლა-გადმოსვლა ადვილია. ყველა ეს გვაფიქრებს, რომ გერმანელები რაღაცა სიურპრიზისთვის გვამზადებენ, ჩვენი ვალია მათ მზად დავხვდეთო“.

---

**კვირის სურათებიან დამატებაში დასტამბულ იქმნება შიო მღვიმელის სამწერლო ასპარეზზე 30 წლის შესრულების გამო, ორი სურათი და მისი მოკლე ბიოგრაფია. მისი პირველი და ბოლო დროინდელი ლექსი. სურათი ახლად დანიშნულ საქართველოს ექსარხოსისა, სურათი ჩვენი მსახიობ-რეჟისორის ვ. შალიკაშვილისა, ნახატი ვლ. სიდამონ-ერისთავისა „ბრძოლის მოლოდინში“ და ორი კარიკატურა. ესკიზი ინ-ბანისა და ოსმალური ზღაპარი „მწყემსი დედოფალი“ ალ. იაკ. ახალციხელისა. ლექსი სანდრო შანშიაშვილისა, გ. უიშვილისა, ლეონიძისა, ტ. ტაბიძისა და სხვათა.**

## ახალი ამბავი

დღევანდელ ნომრისათვის აწყობილი წერილი „საფრანგეთი და მუსულმანობა“ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იბეჭდება.

— სატახტო გაზეთების ცნობით, მიტროპოლიტ პიტირიმის თავმჯდომარეობით მოხდება თათბირი საქართველოს ეკლესიის მოსაწესრიგებლად.

— **საგულისხმიერო კრება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას წესდებაში არ აქვს ისეთი მუხლი, რომელიც მას უფლებას ანიჭებდეს სკოლები გახსნას და საკუთრებად შეიძინოს უძრავი მამული. ეს უფლება-კი ამ ჟამადვე აუცილებლად საჭიროა საზოგადოებისათვის, ამიტომ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს შობა-ახალწელიწადს შუა საგანგებო კრება წესდების შესავსებლად.

— **ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.** საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა: 1. საქმეთა გართულების გამო კვირაში ორჯელ შეიკრიბოს, სამშაბათობით და ხუთშაბათობით; 2) სთხოვოს პიროგოვის საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს მას ბინა; 3. გაიგზავნოს ბ-ნი სამადა-

შვილი და აბულაძე ქართლსა და კახეთში დაჭრილ ქართველ მეომართა ოჯახების ნივთიერ მდგომარეობის გამოსაკვლევად: 4) გაიმართოს საზოგადოების ქონებრივ გასაძლიერებლად საღამო „ახალ კლუბში“; 5) მოწვეულ იქნას საზოგადოების ბუჰგალტრად ბ-ნი ჩარკვიანი.

გამგეობამ ამავე კრებაზე დაამტკიცა ქალთა კომისიის შემადგენლობა. კომისიაში წევრებად შედიან: კნ. ნ. მ. აბხაზისა, ნ. ნ. გაბაშვილისა, ან. მ. წერეთლისა, ე. ერისთავისა, კნ. ნ. ს. ნაკაშიძე, ეკ. მ. გაბაშვილისა, ე. ნ. მესხისა, ნ. ბ. ყიფიანისა, და ე. ნ. ჰიჰინაძისა. ამ კომისიაში გამგეობის მხრივ წარმომადგენლებად არჩეულ იქმნენ პ. ა. გოთუა, პ. საყვარელიძე და მ. ლაღიძე.

**ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს 17 ამა თვეს თათბირი ჰქონდა, ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით აღებისა და შაბიამანისა და გოგირდის შეძენის შესახებ.

**გაზ. „კავკასკოე სლოვო“**-ს ხელმძღვანელნი და ასოთ-ამწყობნი მორიგდნენ. მუშაობა განახლდა. გაზეთი გუშინ საღამოს გამოვიდა.

**საბავშვო დილა.** ხვალ, 20 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, ილია ნაკაშიძის ხელმძღვანელობით, ხარფუხის კლუბის დარბაზში გაიმართება საბავშვო დილა, რომელიც შესდგება 2 განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში ი. ნაკაშიძე უამბობს ბავშვებს ქართულად საშობაო მოთხრობას, ხოლო შემდეგ აჩვენებს კინომატოგრაფიულ სურათს შვეიცარიის ცხოვრებიდან, რომელსაც ქართულად განმარტავს, მეორე განყოფილებაში ბავშვები ნახვენ კინემატოგრაფიულ სურათს—„სოხუმი და მისი მიდამოები“,—რომელსაც დილის ხელმძღვანელი წაუძღვანებს აფხაზთა ცხოვრების აღწერას. შემდეგ აჩვენებენ ბავშვებს მეცნიერულ სურათს—„ბუზი და მისი ცხოვრება“—შესაფერი განმარტებით. დასასრულ ბავშვებს აჩვენებენ საბავშვო დრამას და ორ კომიკურ სურათს. ორივე განყოფილების დასრულების შემდეგ, იგივე სეანსი განმეორდება დილის ხელმძღვანელის მიერ სურათების რუსულად განმარტებით.

**ქუთაისის გუბერნატორი** ბ-ნი პოტულოვი ბაქოში გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზედ. ბ-ნ პოტულოვის ადგილზედ დაინიშნა ბ-ნი კოვალიევი, თბილისის ცნობილი ნაპოლიცმეისტერალი.

**წარჩინება.** ბრძოლის ველზე სიმამაცისათვის წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ჯვრით იქმნა დაჯილდოვებული პორუჩიკი **ს. ტყაჩიშვილი** და **გ. მელაშვილი**, წმ. ვლადიმირის ჯვრით შტაბს-კაპიტანი თავადი **ჭავჭავაძე**, წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ჯვრით—**ლ. ბრიაშვილი** და **შ. ნანეიშვილი.**

**სასურსათო კომიტეტში.** გუშინ მოხდა კრება თბილისის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც აირჩიეს ქალაქის სასურსათო კომიტეტში წარმომადგენლად კოოპერატივებიდან ნ. ზ. ელიავა.

**მეხილეთა საზოგადოების** უკანასკნელ კრებაზე არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გორის მაზრის ხილის ჯიშების გადასინჯვა, რომელიც ამ საზოგადოებას ამ 6—8 წლის წინად ჰქონდა დავალებული. გარდა გამგეობის წევრთა კომისიაში არჩეულ იქმნენ: ვ. ი. ვისნიოვსკი, თ-დი დ. ნ. დიასამიძე, თ-დი ა. გ. მაჩაბელი, ნ. ზ. კეცხოველი, ი. გ. ფურცელაძე, ი. გ. ალიბეგოვი და მ. ა. რომანოვი. კომისიას 6 კვირის ვადა მიეცა მოხსენების შესადგენად ამ საკითხზე.

**სახელმძღვანელოები ქართველ მაჰმადიანთა სკოლებისათვის.** როგორც ვიცით, იანვრის პირველ რიცხვებიდან რამდენიმე სკოლა გაიხსნება სამაჰმადიანო საქართველოში. ამ საქმის მეთაურმა, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, დაავალა წერა-კითხვის საზოგადოებას შესაფერისად შეასწოროს და გამოსცეს ხსენებული სკოლებისათვის ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი ნაწილი 6,000 ცალი, ხოლო მეორე ნაწილი 2,000 ცალი. დავალება სანახევროდ უკვე შესრულებულია: წ.-კითხვის საზოგადოების სასკოლო სექციამ შესაფერისი ცვლილებანი მოახდინა „დედა ენის“ პირველ ნაწილში, ეს ნამუშავარი საზოგადოების გამგეობამ განიხილა, მოიწონა და წიგნი გუშინ (18 ქრისტეშობისთვეს) სტამბაში მისცეს დასაბეჭდად. პირველ იანვრისათვის ეს პირველი ნაწილი დაბეჭდილი იქნება. წიგნის მეორე ნაწილის შესწორებას ეხლა შეუდგა სასკოლო სექცია და თებერვლის დამლევამდისინ წიგნი კიდევაც დაიბეჭდება.

**სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება.** საზოგადოების განახლებულმა გამგეობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ი. ა. აკუნოვი (თავმჯდომარე), ნ. მ. კუზნეცოვი (მდივანი) და ა. ა. მურავიანცი (მდივნის თანაშემწე); ხაზინადრად დარჩა ისევ ქ-ნი ე. მ. მახვილაძე. საფინანსო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ვ. ი. კუციავა, ს. მ. ხანოიანი, ნ. მ. კუზნეცოვი, ჰასან ზადე, ვ. ი. როხლინი, ქ-ნი ე. მ. მახვილაძე და ი. ა. აკუნოვი. კომისიას შეუძლიან, საჭიროების კვალობაზე, გარეშე პირებიც მიიწვიოს. კომისიის დაარსების მიზანია გააღონიეროს საზოგადოების კასა საღამოების, წარმოდგენების და ოპერების გამართვით. გამგეობამ აგრეთვე შეადგინა ლექციების მომწყობი კომისია, რომელშიაც წევრებად შედიან გამგეობის წევრნი ა. ს. ლომთათიძე, ა. ა. მამულაიშვილი, ქ-ნი ე. მ. მახვილაძე, ა. ა. სოლოვიანი და ი. ა. აკუნოვი. გამგეობამ დაავალა ბ-ნს ფარნიევს მოაწყოს ოსური სექცია. გარდა ამისა გამგეობამ დაადგინა მიანდოს, რომელიმე ლექტორს მომავალ დღესასწაულებზე წაიკითხოს ლექცია ეხლანდელ სიძვირის შესახე.

**სურსათის გაძვირების გამო.** ყოველგვარ საქონლის საშინლად გაძვირების გამო ხმ. კეილი აპირებს წინადადება მისცეს ქალაქის გამგეობას, რომ მომეტებული ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ნიხრი დაადვას, გარდა პურისა და ხორცისა, დანარჩენ საქონლებსაც, მაგალითად ნიგოზს, ხილს, თაფლს და სხ. გარჩეული ნიგოზი 1 გირვანქა ფასობდა აბაზი—ხუთი შაური, ამ ჟამად ფასობს ოთხი აბაზი, გირვანქა ვაშლი ფასობდა 8—12 კაპ., ეხლა ფასობს 20—30 კაპ. დღესასწაულები კარზე გვადგია და, როგორც ხმოსანი ფიქრობს, ვაჭრები კიდევ უფრო გააძვირებენ საქონელს და ამ რიგად ღარიბი და საშუალო შეძლების პატრონებიც-კი ვერაფრით გაამხიარულებენ თავიანთ ცოლშვილს. ქალაქის გამგეობამ თუ ეხლავე სასტიკი ღონისძიებანი არ იხმარა ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ, ბ-ნი კეილი ფიქრობს გუბერნატორს მიმართოს თხოვნით.

**ფინანსთა მინისტრის** წინადადებით, მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად სცნო **ნავთი უაქციზოდ იყიდებოდეს**, უკიდურეს შემთხვევაში ძალიან მცირე ბაჟი დაედოს.

**ქუნთრუშა.** ქალაქის სამკურნალოში იმყოფებოდა გუშინ 142 ქუნთრუშიანი.

**სურსათი.** 17 ქრისტეშობისთვეს შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 20 ვაგ., შამპანიური 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., შეშა 20 ვაგ., ნავთი 9 ვაგ., ბრინჯი 408 ფუთი, კომბოსტო 392 ფუთი, ხახვი 152 ფუთი, თევზი 143 ფუთი, ქონი 343 ფუთი.

**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** განყოფილება გაიხსნა ნახიჩევანში (ერევნის გუბ.) განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულია ქ-ნი მ. დ. კანდელაკი, თავმჯდომარის ამხანაგად ქ-ნი ე. მ. მახვილაძისა, გამგეობის წევრებად—პ. ლ. მეძმარიაშვილი, გ. ი. ჟორდანია და ბ-ნი გ. ასათიანი; კანდიდატებად—ბ-ნი ნ. ასათიანი, რ. კანდელაკი და ვ. ესაიაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ბ-ნი ი. ლემეჯავა, კ. ჩახავა და მ. მამულაიშვილი; კანდიდატებად—ი. დიდია, ა. მახვილაძე და გ. შარაშიძე.

**ახალ სამკითხველოების გახსნა.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ თბილისის გუბერნატორისაგან ნებართვა მიიღო გახსნას ქვიშხეთსა და ბეკამში (ზემო ქართლი) სამკითხველოები.

**საზღვარ გარეთ მყოფ სტუდენტთა დახმარება.** ევროპის რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით კი ჟენევაში დიდძალი ქართული სტუდენტობა მოჰყვა, რომელნიც ეხლანდელ ომიანობის დროს დიდ განსაცდელში ჩავარდნენ ქონებრივად. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 200 მანეთი გაუგზავნა ჟენევაში მყოფ სტუდენტებს. მიუღიათ სტუდენტებს 334 ფრანკი, რომელიც გაუნაწილებიათ უფრო გაჭირვებულთათვის და თითოს რგებია 23 ფრანკი და 95 სანტიმი. ჟენეველი სტუდენტები მადლობას უძღვნიან საქველმოქმედო საზოგადოებას. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა კიდევ გაუგზავნოს ჟენევის სტუდენტებს 500 მან.

### ქუთაისი.

— ქუთაისში ამ უკანასკნელ დღეებში გამუდმებით წვიმს, რის გამოც სიცივეები დაიწყო.

— ამ მოკლე ხანში ქუთაისში გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი „ახალი კვალი“.

— ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის საქმეთა ამხანაგობებმა წვრილი კრედიტის საქმეთა მთავარ გამგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, რომ ქუთაისში დაარსდეს ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა კავშირი.

## სოხუმელი „მოღვაწენი“

### სოხუმის გუბერნია

სოხუმის ოლქის (ოკრუგი) უფროსს, ბრძანებს მარკოვიჩი, ერთ დროს გუბერნატორის უფლება ჰქონდა მინიჭებული და ეს მაშინდელი დრო ოლქისათვის ბედნიერ დროთ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მაშინ დაარსდა სოხუმში საშუალო და სამთო სასწავლებელი. სტავროპოლის გიმნაზიაში მთიელ მოწაფისათვის დაინიშნა სტიპენდია, გაკეთდა გზები და სხვა. მაგრამ 1903 წლიდან ოლქის უფროსის უფლება შეზღუდეს, ის დაუმორჩილეს ქუთაისის გუბერნატორს, ამიტომ აღარაფერი არ ხერხდება: ადმინისტრაცია, გზის გამგეობა, ქალაქის თვითმართველობა და სხვა დამოკიდებულია ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაზედ, სოხუმიდან ქუთაისში მიმოსვლა ცუდი გზებისა და უხიდობის გამო გაძნელებულია, ამიტომ სოხუმის ოლქის საკეთილდღეოდ არაფერი კეთდება. აქ არის (სოხუმში) ეპისკოპოსის კათედრა და ამიტომ სოხუმი საგუბერნიო ქალაქად უნდა იქნას ცნობილი და გუბერნატორმაც აქვე უნდა იცხოვროს. ამასთანავე საჭიროა აქაურ სახალხო განათლების ინსპექტორს მიენიჭოს დირექტორის უფლება.

პროექტის ბოლოს მარკოვიჩს მოჰყავს შემდეგი სტატისტიკური ცნობა:

| | მიწის სივრცე. | მცხოვრ. რაოდენობა. |
|---|---|---|
| ბათომის ოლქი: | 638,433 | 158,796 |
| სოხუმის „ | 725,327 | 161,947 |
| „ჩერნომ.“ გუბ. | 611,024 | 93,908 |

როგორც ამ ცხრილიდან ხედავთ, ჩერნომორის გუბერნია მიწის სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით ყველაზე მცირე ყოფილა, მაშასადამე უმჯობესი იქნება სოხუმის ოლქი მიაწერონ ჩერნომორის გუბერნიას, ვიდრე ცალკე გამოყონ და ახალი გუბერნია დაარსონ.

**სოხუმში საოლქო სასამართლო.**

სოხუმში საოლქო სასამართლოს დაარსების პროექტი თვითონ ნიკო თავდგირიძეს ეკუთვნის. თ. თავდგირიძის აზრით ზუგდიდის მაზრა უნდა გამოჰყონ ქუთაისის გუბერნიიდან, მიაწერონ სოხუმის ოლქს და სოხუმში დაარსდეს საოლქო სასამართლო. ამის საბუთად იგივე უგზოობა და ზედმეტი ხარჯია მოხსენებული.

როგორც ხედავთ ეს ორივე პროექტი აფხაზეთს, სამურზაყანოს და ზუგდიდის მაზრას სწყვეტს ქართველებით მჭიდროდ დასახლებულ ქუთაისს. თუ ეს შუამდგომლობა შეიწყნარეს მთელი ეს ვეება მხარე უნდა გათიშონ, უნდა მოსწყვიტონ საქართველოს დედაგულს, და რომ იქ ერობა ან სხვა რამ (სკოლების რეფორმა და სხვა) რომ გვეღირსოს, ცხადია მაშინ უფლება ექნებათ იქ ქართული ენა სულ არ აბოგინონ. სოხუმში სასამართლოს დაარსებაც რომ ვერაფერი სახეირო ეგეც ადვილი მისახვედრია. დღეს აფხაზი, ზუგდიდელი მეგრელი და სამურზაყანოელი ქუთაისში დადის სასამართლოში, აქ ის ეცნობა ვექილებს, მიდის ქართულ ოჯახში, ესწრება ქართულ წარმოდგენებს, კითხულობს ქართულ გაზეთებს ან წამკითხველს უსმენს და ამით ცხადია ერთგვარი მეზობლურ-ეროვნული ურთიერთობა გამტკიცებას სასამართლოში მიმოსვლაც ხელს უწყობს. დღეს, როგორც ვიცით შავი ზღვის პირა ადგილებს რკინის გზით უერთებენ, ქუთაისს და ნუ თუ რკინის გზის გაყვანის შემდეგ კიდევ საჭირო იყო ასეთი პროექტის შეთხზვა?! მიუტევე უფალო!...

მესამე პროექტ - შუამდგომლობა მთლად გაკეთებაა, ვთარგმნით სიტყვა-სიტყვით.

**მოხსენება ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთა უფლების შესახებ**

დიდი ხანია სოხუმის ოლქში კარგა ბლომათ ცხოვრობენ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები სომხები და ბერძნები, რომლებიც გამოექცნენ ოსმალთა ბარბაროსობას. ეს გადმოსახლებულები შეადგენენ სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ყველაზე უფხიზელსა და შრომის მოყვარე ნაწილს. მათ ჩვენში შემოიტანეს თამბაქოს კულტურა, რომელიც სიმინდის კულტურაზე გაცილებით მეტი სარგებლიანია. ამის მეოხებით მიწის შემოსავალმა დიდათ იმატა და სოხუმის ოლქიდან ყოველ წლიურად გასაყიდათ გააქვთ რვა მილიონი მანეთის თამბაქო. ამ რიგად ამ ემიგრანტების ჩვენს მხარეში ყოფნა ფრიად სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ბერძნებმა ბევრმა მომოასწრო და მოახერხა ბერძენთ სამეფოს ქვეშევრდომათ ჩაწერილიყო. სომხები კი შეეცადენ რუსეთის ქვეშევრდომათ ჩაწერას, მაგრამ კავკასიის მთავარ-მართებელად ნამყოფ გალიცინის წყალობით ეს არ მოხერხდა. გალიცინის შემდეგ სომხები აღარ ცდილან რუსეთის ქვეშევრდომათ ჩაწერას. მიუხედავათ ამისა ასტყდა ეს ომი თუ არა, სომხებმა მაშინვე შეადგინეს „დრუჟინები“ და გაგზავნეს ოსმალეთის სომეხთა გამოსახსნელად, იმ ოსმალების წინააღმდეგ, რომელთა ბარბაროსობა[?]და სიმხეცე აძრწუნებს მთელ განათლებულ კაცობრიობას.

მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები რუსეთის დიდი ერთგულები არიან, რუსეთში მათი უფლება მაინც შეზღუდულია, მაგრამ ისინი (სომხები) მაინც თავგანწირვით იბრძვიან რუსეთის სასარგებლოდ. სომეხთა უფლების შეზღუდვის გამო განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც სომხები ისე სოხუმის ოლქის მცხოვრებნი, რადგანაც ამათი ეკონომიური კეთილდღეობა ერთი მეორეზე მჭიდროთ არის დაკავშირებული. სომეხთა უფლებების შეზღუდვას ხელს უწყობს სენატის განმარტება, რომლითაც სომხებს არ აქვთ უფლება სასამართლოში დამცველი იყოლიონ, არ აქვთ უფლება საკუთრებათ მიწის შეძენის და იჯარით აღების და სხვა.

ამის შემდეგ თვითმართველობა ტომარას პირით ითხოვს გადისინჯოს სენატის განმარტებანი და აღდგენილ იქნას სომეხთა უფლებები, ესე იგი მათ მიენიჭოს მიწის საკუთრებათ შეძენის უფლება, თუ ეს ასე არ მოხდა მაშინ სოხუმის ოლქს განადგურება მოელის, მას დაეკარგება თამბაქოდან წლიური რვა მილიონი მანეთი. ამით კი მთელი რუსეთიც დიდ ზარალს ნახავს, რადგან ერთად ერთი სოხუმის ოლქი უწევს კონკურენციას ოსმლეთის თამბაქოს, და მხოლოდ სოხუმის ოლქმა შესძლო და განდევნა რუსეთის ბაზრიდან ოსმალეთის თამბაქო.“

ამის შემდეგ „ჰორიზონისა“ და ძმათა მათთა გამოლაშქრება და გურულების „ყაჩაღებად“ და „ზარმაცებად“ მონათვლა, საკვირველი არ არის და ალბად სრული შედეგია იმ ბრწყინვალე პროექტებისა.

ჰუმანიური შუამდგომლობა, ეს სხვისი ხარჯით ქორწილ-ქეიფი ეკუთნის ხმ. ტომარას, მაგრამ მის გულუხვობას იზიარებენ ხმოსნები და იზიარებს უმთავრესად თვითონ სოხუმის მოურავი ბ-ნი ნიკო თავდგირიძეც. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

## საგულისხმიერო მაგალითი

(წერილი რედაქციის მიმართ)

წელს აპრილში, თბილისში გარდაიცვალა **ეფემია ივანეს ასული კოტიევისა**, შთამომავლობით რუსი იყო (პლატონოვის ასული),—მაგრამ ისე შეესისხლხორცა იგი ქართველ ერს, რომ სულით და გულით ნამდვილ ქართველად მიაჩნდა თავისი თავი.

განსვენებულმა კოტიევისამ ანდერძი დასტოვა, რომლითაც უმთავრესი ნაწილი თავის მამაპაპეულისა და წვითა და დაგვით მონაგარისა—საქართველოს მოზარდ თაობის განათლების საქმეს უანდერძა.

აი, რას გვეუბნება მეორე მუხლი მისი ანდერძისა:

... დანარჩენნი,—გარდა ზემოხსენებულისა,—(განსვენებულის მეუღლეს—6000 მან.,—ძმისწულს—1000 მან., დასამარხ და ძეგლის დასადგმელ ხარჯად—1000 მან.) მოთავსებულ იქმნას სახელმწიფო ბანკში ხელუხლებელ თანხად, რათა ამ თანხის სარგებლით დაარსდეს თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, ან იმ სასწავლებელში, რომელ სასწავლებლადაც, შეიძლება, გადაკეთდეს ხსენებული გიმნაზია,—ორი სტიპენდია ღარიბ და ღირსეულ მოწაფეთათვის, საპედაგოგიო საბჭოს მიხედვით,—ერთი ჩემის და მეორე კასიან გრიგოლის ძე კოტიევის სახელობისა, იმ პირობით, რომ გიმნაზიის კურსის გათავების შემდეგ სტიპენდიანტმა ისარგებლოს ამ სტიპენდიით უმაღლეს სასწავლებელში.

ამ ანდერძის ძალით, რომლის აღმასრულებელნი ვართ მე და მიხეილ ყანჩელი,—ამ ჟამად ჩვენს ხელშია სასტიპენდიო თანხა (სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5 პროც.) 5350 მანეთისა. ამ თანხის პირველი სარგებელი 1916 წ. იანვრიდან მიიღება და მთელი წლისა შეადგენს 267 მან. 50 კაპ. ამ ფულს უნდა გამოაკლდეს 13 მ. 38 კ.—სახელმწიფო 5 პროც. გარდასახადი,—ასე რომ წმინდა სასტიპენდიო ფული დარჩება 254 მ. 12 კაპ.

მოლაპარაკება სტიპენდიანტების დანიშვნის შესახებ უკვე აღძრულია სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტის წინაშე და მომავალ წელს სურვილი განსვენებულისა განხორციელებული იქნება.

დეე, ეს შესანიშნავი მაგალითი თვალწინ ედგეს ყველას, ვისაც-კი ჩვენი ქვეყნისათვის რისამე სარგებლობა შეუძლიან და არკი ასრულებს თავის უპირველეს მოვალეობას.

**რ. ამირეჯიბი.**

## მოვაწყოთ კოოპერატიული სასადილო!

თანამედროვე სიძვირე და სანოვაგის ნაკლებობა დიდად აფერხებს ოჯახურ ცხოვრებას და საშუალო შეძლების ოჯახსაც იმდენად უჭირვებს საქმეს, რომ არ იციან როგორ მოაწყონ უდეფიციტოდ თავის ოჯახური მეურნეობა. ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად აწვება ეს სიძვირე იმ ოჯახებს, სადაც ოჯახის ბურჯი დედა იძულებულია გარედ მუშაობით ეძიოს ცხოვრების სახსარი თვითონ წაუძღვეს თავის შინაურ მეურნეობას, ერთის მხრივ სიძვირე და გაჭირვება, მეორეს მხრივ თანამედროვე ომი, აი ის მიზეზები, რომელთა მეოხებით გამრავლდა ამ გვარ ქალთა რიცხვი, და ბევრ ოჯახში დედა იძულებულია ომში გაწვეულ ქმრის მაგივრობა გასწიოს.

ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა სხვათა შორის გონივრულად საზოგადოებრივი მეურნეობის მოწყობაა, მრავალ ოჯახის შეერთება საერთო კოოპერატიულ სასადილოების გასახსნელად.

**კავკასიელ ქალთა საზოგადოების გამგეობას** აზრადა აქვს პასუხი გასცეს ამ უკვე ცხოვრებაში მომწიფებულ მოთხოვნილებას და ხელი შეუწყოს იმათ, ვინც იკისრებს თაოსნობას ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებისა და ქ. თბილისში კოოპერატიულ სასადილოების გახსნისათვის და ამ იდეას ხალხში გაავრცელებს.

მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რამდენად სასარგებლოა ამ გვარი სასადილოები, რომლებიც დამყარებული არიან სხვა კოოპერატიულ საზოგადოებათა ცნობილ ძირითად პრინციპებზე.

საერთო, კოლექტიური, მეურნეობის სარგებლობა კერძოსთან შედარებით აშკარა და ნათელია: იხარჯება ნაკლები შეშა, მოითხოვს ნაკლებ მუშა ხელს, უფრო კარგი ღირსების სანოვაგე იაფი ჯდება, რადგანაც ერთად და ბლომად შეიძლება ყიდვა უშუამავლოდ. ამ გვარად კოოპერატიულ სასადილოს შეძლება აქვს მიაწოდოს ამ საქმეში მონაწილე წევრთ იაფი, საღი და ნოყიერი სადილი. კიდევ ის უპირატესობა აქვს კოოპერატიულ სასადილოს, რომ მოგება, რომელიც ამ სასადილოს რჩება ისევ წევრთა შორის განაწილდება და მოგების ერთი ნაწილი ამ საქმის გაუმჯობესობას მოხმარდება.

კოოპერატიულ სასადილოს განსახორციელებლად კავკასიელ ქალთა საზოგადოების გამგეობა მართავს კვირას, 20 ქრისტეშობისთვეს, ნაშუადღევის 12 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში საჯარო კრებას, რომელზედაც იწვევს ყველას ვისაც ეს საკითხა აინტერესებს.

## უზრუნველ ქართველის დღიურიდან

16

ჩემ პირად „შებანძლულ“ ყოფით იმდენად გაწბილებული ვარ, რომ თანდათან ყოველივე ხალისი მეკარგება დღიურის საწერად... გაქცევ-გამოქცევის სეზონი რომ დაიწყო და ჩვენც... ფეშქაშად გაცემულ მესხეთიდან, რომ გამოვიქეცით, იმ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით, რომ ვიცოდით, საქართველო ერთ დროს შავი და გურგენის ზღვებით განისაზღვრებოდა და ვფიქრობდით, ეს ამოდენა მხარე რა ისრე შეითლ-შემოითლებოდა, რომ ორ მილიონზე მეტს ხალხს, ორიოდე გუბერნიაც კი აღარ შერჩებოდა თავშესაფრად! და ჩვენც უპირველესად მოაშურეთ ჩვენ დედა ქალაქ თბილისს. ვაი რომ ეს დედა-ქალაქიც დედინაცვლური უხიაკობით შეგვხვდა! ქართველის ღირებულების მაჩვენებელ სათვალსაჩინო რამეს ვერსად შევხვდით; ქართველის საქმიანობა არსად სჩანდა; საგრძნობელი ქართული სუნი არსად ტრიალებდა და ქართველობას, ქალაქის განაპირა უბნებში გაფანტულს და მობუზულს, ანგარიშს აღარავინ უწევდა. იგი, განაპირა უბნებია ქოხ-მახებში მოთავსებული [illegible] გულხელდაკრეფილი [illegible] უხედველობის აზრით და შეუგნებლობით გაიძახოდა: „რასაც გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, და აკი გაუცია კიდეც, რაც რომ ებადა და ეხლა, მაღალ ფრაზებისაგან აყენებულ კორიანტელით მოცული, რას მიედ-მოდება, თვითვე არ იცის... ამ უფასო გასართობის მნახველნი

სიცილით იფხრიწებიან და ქართველების ნაოხრალზე მალაყებს გადადიან. ოდესღაც მასპინძელს,—უზრუნველს და უენერგიოს, რომელსაც თავისი სტუმართ--მოყვარეობა თავისთავის უარისყოფამდე განუვითარებელია,—ეხლა მხოლოდ ღა სტუმარის, და ისიც თავმომაბეზრებელ სტუმრის როლი დაუკავებია და თავი იმდენად მოუბეზრებია ახალ მასპინძლებისათვის, რომ უკანასკნელთ, ჩვენი გაჩერება, არამც თუ დედა ქალაქში, არამედ ამიერ კავკასიის განაპირა პროვინციებშიაც კი არ ეპიტნავებათ. თქვენ ეს იქნება ხუმრობათ მიიღოთ და მე კი, უბინადროს და ქუჩათ მოხეტიალეს, სახუმარო არაფერი მაქვს. და თუ მაინც არა გჯერათ, საბუთები მომთხოვეთ, გაეცანით

გ. ა—ციხელი

## მივეშველნეთ!

დღეს ხარფუხის საზოგადო კლუბი დიდს მხატვრულს საღამოსა ჰმართავს—

ვაჟა-ფშაველას საღამოს.

ჰმართავს დიდად სიმპატიურ და მოსაწონ მიზნით:

საღამოს მთელი წმინდა შემოსავალი უნდა გადაეცეს ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდს...

პირველი აგური უნდა იქმნას მიტანილი ამ აგარაკისათვის,

პირველი **საქმით** გულშემატკივრობა უნდა დაუმტკიცდეს ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთ.

თანაც ეს—ბუმბერაზ ვაჟას მოსაგონარი საღამოა...

პირველი საღამო მისის გარდაცვალების შემდეგ...

აგარაკიც ვაჟას სახელზე იქნება აშენებული...

ყველა ეს გვავალებს განსაკუთრებითის ყურადღებით მოვეპყრათ დღევანდელს „საღამოს“, რაც შეიძლება მეტი თანაგრძნობა აღმოვუჩინოთ მის გამმართველთ.

დეე ყველამ გაიგოს, რომ ქართველობა არასა ჰზოგავს თავის მოჭირნახულეთათვის, რომ ქართველი კაცი, ნივთიერად სხვაზე ბევრით ხელმოკლე, გულით ყველაზე მდიდარია...

რომ ის არა კეთილს საქმეს არ ჩამორჩება,

ყველა ეროვნულს საქმეს მზად არის დაეხმაროს რითაც კი ძალა შესწევს...

მაშ გავწიოთ ხარფუხის კლუბისაკენ! ნუ დავიშურებთ ჩვენს წვლილს საღამოს სიმპატიურ მიზნისათვის!

საძირკველი ჩავუყაროთ ჩვენის სამშობლოს მოამაგეთა მუდმივ სადგომს! ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად!

**შეუპოვარი.**

## პურიშკევიჩის აზრი რუსეთის სოც.-დემოკრატებზე

ცნობილ პირიშკევიჩს წაუკითხავს მოხსენება პეტროგრადში და სხვათა შორის თავისი აზრი გამოუთქვამს რუს სოციალ-დემოკრატების შესახებ.

ჩვენმა სოციალდემოკრატებმა, უთქვამს პურიშკევიჩს, თავიანთ თავგანწირული მოქმედებით დაგვიმტკიცეს, რომ ნამდვილი მამულიშვილური გრძნობებით ყოფილან აღჭურვილნი. მოიგონეთ პლეხანოვი. გაიხსენე რა სთქვა მან.“

მე ვაფასებ ყველა იმას, ვინც ამბობს, რომ მე ვემსახურები რუსეთის რეაქციას. თუ ბებელს და ლიბკნეხტს შეუძლიანთ სამშობლოს სიყვარული, მაშ, მეც ნება დამრთეთ ვიყო პატრიოტი.

— „თქვენ გინდათ რუსეთის დაღუპვა, თქვენ სცდებით, მე ჯერ არ დავქირავებულვარ გერმანეთის იმპერიალიზმს“ მოჰყავს პურიშკევიჩს პლეხანოვის სიტყვები.—„მოგიწოდებთ, ავაფრიალოთ წითელი დროშა რევოლიუციისა, რომ უფრო ადვილათ შეგვეძლოთ ხელი შეუწყოთ დანგრევას“ თქვენ სცდებით ჩვენ შევძლებთ სამშობლოს დაცვას და მტრის დამარცხებას.

ეს სიტყვები, უთქვამს პურიშკევიჩს, თამამათ შეეძლო პლეხანოვს ჩვენთან ერთად ეთქვაო.

## ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს მორიგი კრება გაიმართა ოთხშაბათს, 16 ქრისტეშობისთვეს, საზოგადოების კანცელარიაში.

ქართულ კულტურულ საღამოს შესახებ, რომელიც ყოველწლივ უნდა იმართებოდეს და რომლის პროგრამის შემუშავებაც საბჭოს აქვს დაკისრებული, ბ-ნმა ნ. ნათიძემ თავის მხრივ შემდეგი სახელმძღვანელო აზრი გამოსთქვა: 1, საღამო იმართებოდეს პირველ მაისს; 2, უთუოდ იკითხებოდეს რაიმე ეპიზოდი ისტორიიდან თამარ მეფის შესახებ; 3, იკითხებოდეს „ვეფხის ტყაოსნიდან“ ამოღებული ადგილები და წამკითხველი რაც შეიძლება თვისი ჩაცმულობით უახლოვდებოდეს რუსთველის ჩაცმულობას; 4, დარბაზი საღამოსთვის მორთული იყოს ძველის ძველი ქართული იარაღითა და ნივთებით; 5, საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეულ იქმნენ მომღერალნი და მოცეკვავენი იმ ტანთსაცმელებით, რომელსაც ხმარობდენ იქ ძველად; 6, მოიწვეოდნენ ხოლმე უთუოდ ფშავ-ხევსურ-თუშთა წარმომადგენელნი თავიანთი ტანსაცმლითა, იარაღითა და მეფანდურეებით; 7, უნდა ეძლეოდეთ პრემიები საუკეთესო წარმომადგენელთ ყველა დარგში; 8, გადაღებულ იქმნას მათი სურათები და ქონებასთან ერთად დაიცვას საზოგადოებამ და სხვ.

ბ-ნ ნ. ნათიძეს ეს აზრი საბჭომ სიამოვნებით მიიღო საღამოს პროგრამისათვის.

შემდეგ ამისა ისტორიკოსმა თ. გ. ჟორდანიამ გააცნო საბჭოს თვისი მოხსენება „მეცხრამეტე საუკუნის კარზე“.

საბჭომ დაადგინა ხსენებული მოხსენება, რომელიც მრავალ საყურადღებო მასალითაა სავსე, უახლოვეს მომავალში წაკითხულ იქმნას საზოგადოების საჯარო კრებაზე.

## „მეურნის“ საზოგადოების საგულისხმოდ

„საქართველოს“ № 164-ში ბ. კოოპერატორის ვ. წერილი იყო მოთავსებული; უნდა მოგახსენოთ, რომ სრულიად ვეთანხმები ბ. წერილის ავტორს. უმჯობესი იქნებოდა „მეურნის“ საზოგადოებას ქალაქის შუაგულში გაეხსნა სანოვაგის უმთავრესი სავაჭრო საწყობი და ამავე დროს პატარა სავაჭროები იმავე სანოვაგით სხვა დ სხვა ქალაქის განაპირა ნაწილებში დახსნას, სადაც ქართველობა უმეტესი ნაწილი სცხოვრობს. პირველ საცდელათ ნაძალადევში რადგანაც უმრავლესობა ქართველობა და რუსობა სცხოვრობენ, მოვაჭრეები კი სხვა ტომნი რომელნიც საქონელსაც მდარეს ჰყიდიან უფრო მეტ ფასში, ვიდრე შუა ქალაქში ისყიდება. ამასთანავე ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ რაც მეტი გაიხსნება ამ გვარი სავაჭროები ღარიბ უბნებში და ხალხიც დარწმუნდება მის სარგებლობაში, მით უმეტესობა მიიღებს ახლო მონაწილეობას და წევრათაც უმეტესობა ჩაეწერება, ხალხს უნდა დაანახოთ მოქმედება.

თუ მხოლოდ შუა ქალაქში მოეწყობა ვაჭრობა, ვგონებ იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანს რადგანაც შუა ქალაქში ისეც ბევრი სავაჭროები და კოოპერატიული მაღაზიები არსებობს და კიდევ ემატება. ზევით მოვიხსენიე რომ საცდელათ მაინც პირველ შემთხვევაში ნაძალადევში პატარა სავაჭრო განყოფილება მოეწყოს, რადგანაც მოთხოვნილება დიდია და უფრო ადვილი მოსაწყობიც და თუ სასარგებლოდ დაინახავს საზოგადოება, მაშინ შესაძლებელი იქნება სხვა უბნებშიაც მოაწყოს ამ გვარი სავაჭროები.

**გრ. ჩ.**

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

20 ქრისტეშობისთვეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება უგანათლებულესი თავადის გიორგი შერვაშიძის პიესა „გიორგი მესამე“. 21 ქრისტეშობისთვეს დასი ბაქოს მიემგზავრება.

**ჭიათურა.**

წარსულ თვის განმავლობაში რუსეთში გაუზიდნიათ შავი ქვა ზღვით 353 ათასი ფუთი.

**სოფ. ბაიხოში** (კახეთი).

ამას წინად გაძარცვეს ამ სოფლის მცხოვრები ყასიბ ყასუმ ოღლი, ეჭვით შეიპყრეს ამ სოფლისვე მცხოვრები გ. ტატუნაშვილი.

**სოფ. წინანდალი.**

გიორგი დუღლიაშვილმა განზრახ დასწვა თავისი მეზობლის სახლი. ზარალი 200 მანეთამდეა.

— პოლიციამ ხელთ იგდო შემდეგი ყაჩაღები: ის. ასანაშვილი, არჩ. ვარშაძე, გ. ტატულაშვილი, დიმიტრი ჯანგირაშვილი. ჩამოთვლილმა პირებმა ამას წინად გაძარცვეს სოფ. წინანდალის მეწისქვილე და აგრეთვე ბრალდებათ სხვა ბოროტმოქმედება.

**სამტრედია.**

აქაურმა სასამართლომ 5 დღის ციხე მიუსაჯა ქარხანა „ბილიონის“ პატრონს ბ. სარქისოვს, რომელმაც ხელით შეურაცჰყო თავის ქარხანაში მომუშავე ქალი ტასია ჯვარიშვილი.

**ფ. ზუგდიდი.**

პირველ ქრისტეშობისთვიდან აქ ქუთაისის სამოსამართლო პალატამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე გაარჩია. ზოგიერთ საქმეებს იცავდა ნაფიცი ვექილი ევგენი გეგეჭკორი.

**ფ. ხობი.**

ცხრა ამ თვეს ნორაკიძე, რომელიც დარაჯებს შეეპყრო და რომელსაც თითქოს გაქცევა მოენდომებიოს გზაზე მოჰკლეს.

**ბ ა ქ ო.**

ქალაქის თავმა რკინის გზის სამხედრო უწყების უფროსს გენერალ კარპოვს დეპეშით აცნობა, რომ ბაქოში რკინის გზით საქონლის შემოზიდვის შეწყვეტამ დიდი უხერხულობა და თან ზარალი გამოიწვია.

— ბაქოში გაიხსნება ბელინსკის სახელობის ქალაქის დიდი სამკითხველო.

**ფ. ყვირილა.**

ცხრა ამ თვეს ყვირილის ქუჩაზე ერთ ოჯახში კარტის მოთამაშეთ დიდი ჩხუბი მოუვიდათ. ყვირილაში ამ ბოლო ხანს ჩვეულებად გადაიქცა კარტის თამაში. ყოველ ოჯახში შეხვდებით კარტის მოთამაშეთა მიერ გავსილ ოთახს.

— ყვირილის ქუჩები მეტად გაფუჭებულია და ზედ ღამ-ღამობით სიარული საშიშია.

— ყვირილის გაფუჭებული ზედა ხიდი ეს ერთი ხანია დაჰკეტეს, მხოლოდ მის აღსადგენად და გასაკეთებლად ჯერ არავინ ზრუნავს.

**სოფ. დიდი ჯიხაიში.**

უეცრივ ცეცხლი მოედო და დაიწვა აქაურ მოვაჭრე დათ. ლეჟავას ოთხი წლის ქალი. ცეცხლით დაიწვა აგრეთვე ქაიხოსრო ლორთქიფანიძის საქონლის ბაკი.

**ბათომი.**

დაითხოვეს და სამართალში მისცეს 10 გოროდოვოი, რომელთაც მუშებისაგან ქრთამის აღება ბრალდებათ.

## დაბა-სოფლები

**ფ. ზუგდიდი.** არ იქმნა, არ ეშველა ზუგდიდს, მაშინაც კი როცა მივარდნილი ადგილები, როგორიც არის ჯგარლი, მუხური და კირცხი იქაც კი გახსნეს კოოპერატიული დუქანი, იქ უფრო ადრე შეიგნეს და სისრულეშიც მოიყვანეს ასეთი კარგი საქმე როგორიც არის კოოპერატივი. როგორც გადმომცეს, ხალხი ძლიერ მადლობელია ასეთი დაწესებულების და ნდობის თვალითაც უყურებს ზუგდიდს კი როგორც მოგახსენეთ არ ეშველა, თუმცა სურვილი დიდია, ყველა გრძნობს მის აუცილებლობას. მაშ რა არის მიზეზი, რომ რაც ყველგან შესძლეს ყველგან გააკეთეს, ზუგდიდმა კი ვერა? აი, მიზეზიც, ამ რამოდენიმე თვის წინედ ზუგდიდის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ დაისახა მიზნად დაეარსებინა მომხმარებელი საზოგადოება წევრთათვის. სანამ გამგეობა აქტიურ მოქმედებას დაიწყებდა და წესდებას წარადგენდა დასამტკიცებლად, ხსენებული ამხანაგობის გამგეობამ მიმართა გ. შელიას. და ხ. ჟორდანიას ასეთი წინადადებით: ჩვენ ხელთ გვაქვს დამტკიცებული წესდება „ვარსკვლავი“ და ვიმუშაოთ შეთანხმებითო. ამ დღიდან იწყება მათი თანხმობით მუშაობა. მოიწვიეს 15-მდე კაცი კიდევ და ერთი თვის შემდეგ, როცა საკმაო წევრები ჩაეწერნენ, გაიმართა კრება მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის ასარჩევად, აქ ასტყდა, როგორც საზოგადოდ სჩვევია ჩვენ ხალხს პარტიობა, ერთმა ჯგუფმა წამოაყენა თავისი კანდიდატი მეორემ თავისი, არ მოხდა მათ შორის შეთანხმება და ეს პირველი კრება ჩაიშალა. დანიშნეს მეორე კრება. ამასაც ეს ბედი ეწვია, გაიმართა მესამე, ახლა კი გვეგონა შეთანხმებული იყვნენ და საქმესაც ბოლო მოეღებოდა, მაგრამ არ იქმნა პირველი ჯგუფის წამოყენებული ერთერთი კანდიდატი ა... ძე მეორე ჯგუფმა არ მიიღო და კრება ისევ ჩაიშალა. ბოლოს, როგორც იქმნა, შეთანხმდენ და კრებაც გამართეს. ამ კრებაზედ ერთმა და მეორე ჯგუფმა კრების თავმჯდომარეს ი. მეუნარგიას წარუდგინეს თავიანთი შვიდი კანდიდატები. აღმოჩნდა რომ ორივე ჯგუფი ერთხმად ღებულობდა ორ კანდიდატს გ. პ. დადიანს და პ. მ. კედიას ასარჩევი იყო კიდევ ხუთი და ეს უნდა გაენაწილებინა ორ ჯგუფს. მაგრამ აქ პ. კედიამ მადლობა შესწირა ორივე ჯგუფს და უარი განაცხადა. ახლა კი ერთხმად მიღებული დადიანის გარდა, ასარჩევი იყო კიდევ ექვსი და ეს თანასწორად გაიყო ორივე ჯგუფმა. აი სწორედ აქ, როცა ერთმა და მეორე ჯგუფმა წამოაყენა თავიანთი კანდიდატურა, აქ არც ერთმა და არც მეორემ არ აღნიშნეს ხელოსნების კანდიდატი. კრების გათავების შემდეგ მათ პროტესტი განაცხადეს ასეთს არჩევნებზედ და გამოეყენენ. მეორე დღეს როცა ხმა მაღლა გაისმა პროტესტი და ხელოსნების განზრახვას ერთი და მეორე ჯგუფიც მიხვდა თავიანთ შეცდომას, მოინდომეს საქმის გამოკეთება, დაიბარეს ხელოსნების წარმომადგენელნი 40-მდე კაცი და მოსთხოვეს შეერთებულის ძალით გაეკეთებინათ ეს კეთილი საქმე და დაჰპირდნენ, ხელახლად არჩევნებს მოვახდენთ და თქვენგნით წამოყენებულ კანდიდატებს გავიყვანთო, მაგრამ ამაზე ცივი უარი მიიღეს „ჩვენ ოთხასი კაცი ვართ (აქ გულისხმობენ წვრილი კრედიტის ამხანაგებს), ერთი დუქანი გვჭირია. ერთ დუქანს ჩვენ თვითონ ვეყოფით მომხმარებლადო და ჩვენი განზრახვა სისრულეში უნდა მოვიყვანოთო. ასე და ამ ნაირად არ მოხერხდა მათი შეთანხმება და ხელოსნები ენერგიულად განაგრძობენ მუშაობას. ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებს, მაგრამ ასეთი განხეთქილება კარგი რომ არ არის, ეს ცხადია. სასურველია როგორმე შეთანხმება ორივე ძალისა.

**პ—ი.**

## სომეხთა ცხოვრება

**დახმარება გამოქცეულებს.**

ქ. თეოდოსიიდან ჩამოვიდა იქაურ სომეხთა საზოგადოების თავმჯდომარე თოფჩიანი, რომელმაც თან ჩამოიტანა დიდძალი საცვლები, თბილეულობა და ორი ფუთი თუთუნი, სომეხ მოხალისეთათვის. შემოწირულება შეგროვილია ყირიმსა და სხვა ქალაქების სომეხ მცხოვრებთა შორის.

— ქალაქის კავშირთა კავკასიის განყოფილებამ გენ. თამამშევის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, 600,000 მან. გადაეცეს მის განკარგულებაში სომეხ გამოქცეულთა მიმდინარე ზამთრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

გენერალ თამამშევს თავის მხრივ უცნობებია კავკასიის ქალაქთა კავშირის რწმუნებულისთვის, საჭიროა გამოქცეულთათვის სოფ. ჩუნ-ჩაიში საავადმყოფო 25 საწოლით, მხოლოდ სოფ. სეიდავრში ამბულატორია.

— ხაპანში გარდაიცვალა მდიდარი სომეხი მოწყალების და, ვარს. მელიქსტეფანიანი, რომლის ძმებმაც სომეხთა საქველმოქმედო და სხვა სომხურ საქმეთ 1,000 მან. ფული შესწირეს განსვენებულ დის ხსოვნის აღსანიშნავად.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

ამ ცოტა ხანში მოსკოვში მიიწვევენ სრულიად რუსეთის სათეატრო თათბირს, მუსულმანთა საგანმანათლებლო საზ. „ნიჯათმა“ გადასწყვიტა მომავალ თათბირზე თავის წარმომადგენელიც გაჰგზავნოს.

— განჯაში განაგრძობენ გამოქცეულ მუსულმანთა სასარგებლოდ ფულის გროვებას, როგორც ვიცით ამ ქალაქში უკვე ზემორე ხსენებულ მიზნისთვის 60,000 მან. მოაგროვეს.

— მეფემ უმაღლესად ინება მტრის წინააღმდეგ თავგამოჩენისთვის გენერალ-მაიორის ალი-აღა შიხლინის წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ჯვრით დაჯილდოვება.

— ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე დაასრულა აჭარაში მუშაობა.

— 14 ამ თვეს კრება ჰქონდა საზ. „ნიჯათს“, რომელზედაც იყო თათბირი განსაკუთრებით სწავლა-განათლების საქმეზე და ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის საქმის მოწესრიგების შესახებ.

## რუსეთი

**სათათბიროს საბიუჯეტო კომისია.**

საბიუჯეტო კომისიამ განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. მოხსენება შედგენილი იყო დეპუტატ ფირსოვის მიერ.

მომხსენებლის აზრით, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველ მხრივ გადააფარა ხელი თავის მოქმედებას და საშუალება მოუსპო კომისიას დაწვრილებით გაეთვალისწინებინა მის საქმეთა პოლიტიკის მიმდინარეობა.

სამინისტროს მოქმედება უმთავრესად გამოიხატა იმაში, რომ შემცირდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა რიცხვი 1914 წ. შედარებით. მაგრამ სამაგიეროდ საშინლად გაძლიერდა დაჯარიმება.

რაც შეეხება წარსულ წლებში სა... თათბიროს მიერ გამოთქმულ შე... შენებს სამინისტროს სრულიად ... დება არ მიუქცევია და თავის პოლიტიკას ისევე ძველებურ ფარგლებში აწარმოებს.

რაც შეეხება ყველა იმ მოხელეთ, რომელიც წამოსულია გერმანელების მიერ დაკავებულ გუბერნიებიდან და რომელთა რიცხვიც 2,018 კაცს უდრის, სამინისტროს განზრახული აქვს დაანაწილოს სხვა და სხვა ადგილებზედ შიდა რუსეთში.

სამინისტრო მოითხოვს 120,780,550 მან. ეს რიცხვი 6,080,303 მანეთით ნაკლებია შარშანდელზედ.

**ყ ი ნ ვ ე ბ ი.**

მთელ რუსეთში საშინელი ყინვებია. პეტროგრადის მიდამოებში ყინვები 25 გრ. უწევს. მხოლოდ თვით ქალაქში 20 გრ. მასთანვე საშინელი ცივი ქარი ჰქრის. მატარებლები სიცივების გამო ძალიან დაგვიანებულ მოდიან.

**პეტროგრადის უნივერსიტეტი.**

პეტროგრადის უნივერსიტეტში იანვრის შემდეგ შეიძლება გადასვლა ყველა ფაკულტეტზედ გარდა ფიზიკომატემატიკურის პირველ კურსზედ. პროვინციის უნივერსიტეტებიდან თხოვნები მიიღება 15 ქრისტ. 15 იანვრ.

## უცხოეთი

**ბალკანეთის ექსპლოატაცია.**

მდინარე დუნაის ყველა ნავთსადგურებში სულ მოკლე ხანში გახსნილა აუარებელი რიცხვი სატრანსპორტო და საკომისიო კანტორებისა, რომელთა მთავარი დანიშნულება ავსტრია-გერმანეთში პურის გატანის მოწესრიგებაა. მათ დღევანდლამდე უკვე გაუტანიათ ნახევარ მილიონი ვაგონი ხორბალი. გერმანეთის გაზეთების ცნობით ბალკანეთით სარგებლობს, როგორც ავსტრია-გერმანეთი ისევე ოსმალეთიც. უკანასკნელს რუმინეთიდან გაუტანია 1000 ვაგონი ფქვილი და 30,000 სული მსხვილფეხა საქონელი.

**მე-4 სამხედრო სესხი გერმანეთში.**

გერმანეთის ფინანსთა მინისტრს შეუტანია რეიჰსტაგში წინადადება ახალი სესხის შესახებ, ხელის მოწერა გაიმართება ერთი კვირის შემდეგ. მინისტრი მოითხოვს 500 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდი ხანი არ არის, რაც ქართველ საზოგადოებაში დაიბადა ფრიად საყურადღებო და მოსაწონი აზრი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენებისა, მაგრამ მან უკვე ღრმად გაიდგა ფესვები. ჩვენში, წვრილ-წვრილადა გროვდება სათანადო თანხა. მე ჩემის მხრივ სასურველად მიმაჩნია ქართველი საზოგადოება ერთ წესს შემოიღებდეს საგარაკო ფონდის გასაძლიერებლად, რაც ... მიმართავენ ხოლმე რუსეთში და ხანდისხან ჩვენშიაც სხვა და სხვა საზოგადო თანხის შესადგენად. მე მოგახსენებთ **საახალწლო დარბაზობის მაგიერ ფულის შეწირვაზე სააგარაკო ფონდისთვის.** ყველა ჩვენგანმა ყოვლად მოსაწყენ და დამღლელ სხვებულს დარბაზობას, რომ თავი ანებოს და მის მაგიერ თავისს წვლილს გაიღებდეს ამ დიდ რომ მოსაგ... საქმისთვის, ვიმედოვნებ, სააგარაკო ფონდს **რამდენიმე ასეული თუ არა რამდენიმე ათეული თუმანი მაინც შეემატება**, რაც დიდად გააადვილებს განზრახულ კეთილ საქმეს.

მე ჩემის მხრით ჩემი მცირე წვლილი გამიღია 3 მანეთი. ვაახლებ ამ ფულს ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას, რომელმაც თავს იდვა სააგარაკო საქმის გაძღოლა, და ვიმედოვნებ, რომ ჩემ მცირე შეწირულებას სხვა უფრო დიდი, უფრო უხვი შემოწირულება მოჰყვება.

**იორ. რაზმაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Кр...раванная ул., д. № 1, особое д... лопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლად საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და ... ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც ... ცხოვრობს).

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | . 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საღ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის. . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვასრულებთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძეთი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი 4. №